შპს „ევროპროდუქტი“ აცხადებს სტაჟირებას **ბრენდ მენეჯერის** პოზიციაზე ქ. თბილისში. ევროპროდუქტი დაარსდა 2004 წელს და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა კვების პროდუქტების იმპორტი და მათი დისტრიბუცია ქართულ ბაზარზე. იგი ექსკლუზიურად წარმოადგენს საქართველოში ისეთ საერთაშორისო ბრენდებს როგორებიცაა: **Valio, Arla, Bayernland, Frico, Heidi, Elpozo და სხვა.** კომპანიამ 2014 წლიდან დაიწყო ბრენდული მარკეტების ქსელის „ევროპროდუქტის“ გახსნა.

სამუშაო ადგილი: თბილისი
სამუშაო განაკვეთი: ნახევარი
ანაზღაურება : სტაჟიების პერიოდში 400 ლარი

ჩვენ გასწავლით:

- როგორ განახორციელოთ ბაზრის და კონკურენტების კვლევა და ანალიზი ;
- როგორ უნდა უზრუნველყოთ ბრენდის განვითარების დაგეგმვა და ანალიზი. ბრენდის პოზიციონირების სტრატეგიის შემუშავება / განვითარება;
- გაყიდვების ანალიზს. გეგმების შედგენას და მონიტორინგს;
- მარაგების მართვას. ნაშთების ყოველდღიური კონტროლს, დეფიციტური და ჭარბი პროდუქციის ნაშთის ანალიზს, მოკლევადიანი პროდუქციის კონტროლს, მარაგის ოპტიმალური შენახვის პერიოდის კონტროლს, ბუფერული მარაგის კონტროლს, შეკვეთების განთავსებას შესყიდვის გეგმის მიხედვით;
- გაყიდვებისა და შესყიდვების გეგმების კონტროლს, ახალი შეკვეთის ფორმირებას;
- პარტნიორებთან ურთიერთობას; მოლაპარაკებების წარმოებას; ხელშეკრულებების გაფორმებას / განახლებას;
- მომწოდებლებთან ურთიერთობას, მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, მარჟების ყოველდღიური კონტროლი;
- ფასწარმოქმნას;
- მარკეტინგული ბიუჯეტის შედგენას და მართვას;
- პრომო აქციების დაგეგმვას და მართვას.

სტაჟიორი შეირჩევა შემდეგი მოთხოვნების მიხედვით:

განათლება და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი მარკეტინგის, ბიზნეს ადმინისტრირების და/ან მსგავს დარგში;
- ქართული და ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა (წერილობითი, ზეპირი);
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების მაღალ დონეზე ცოდნა.

უნარ-ჩვევები:

- ანალიტიკური აზროვნება;
- ორგანიზებულობა. საქმის და დროის სწორად განაწილების უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კონფიდენციალობა, მოწესრიგებულობა და პუნქტუალობა;
- ინტერაქციისა და კომუნიკაციის უნარი;
- პრეზენტაციის უნარი.

ჩვენ გთავაზობთ:

- ანაზღაურებად სტაჟირებას;
- კარიერული განვითარების შესაძლებლობას.

დაინტერესებულმა ასტაჟიორებმა თქვენი რეზიუმე გამოაგზავნოთ მისამართზე hr@europroduct.ge და სათაურში (subject) მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება.დაკავშირება მოხდება მხოლოდ მოთხოვნის შესაბამისად შერჩეულ კანდიდატებთან.

გისურვებთ წარმატებებს!